

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საჯალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარმოები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქციონი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

„ოსანა მაღალთა შინა“



17 აპრილს, ოზურგეთის საკათედრო ტაძარში ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი საუფლო დღესასწაულის - ბზობის, საზეიმო წირვა აღესრულა.

საზეიმო წირვა აღავლინა შემოქმედელმა ეპისკოპოსმა, **მეუფე იოსებმა**.

ბზობის დღესასწაულის შინაარსი დაფუძნებულია სახარებაზე, რომელშიც გადმოცემულია იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე დასასწრებად, იესო ქრისტეს შესვლის ამბავი. იესოს მოსახლეობა ზეიმით შეეგება, ზოგი მის სახედარს ფეხქვეშ თავის სამოსს უგებდა, ზოგი პალმის ტოტებს — ბაიას უფენდა, თან „ოსანას“ შესძახებდნენ. ბზობის დღესასწაული სიმბოლურად იმეორებს სახარების ამ დეტალს.

საზეიმო წირვის შემდეგ, ტრადიციულად, ქოთნებში ჩარგული ბზის ნერგები აკურთხეს.

მეუფე იოსებმა თავის ქადაგებაში ბზის მნიშვნელობაზე ისაუბრა და თავისი წუხილი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ სხვადასხვა დაავადებებმა ძალიან შეამცირა ბზის ნარგავების ოდენობა. მოქალაქეები ბზობის დღესასწაულზე ისედაც შემციობრებულ ნარგავებს ამტკრევენ ტოტებს, რაც აზიანებს ნარგავებს.

მეუფე იოსებმა, მრევლს ბზის გამრავლების კურთხევა მისცა.

ცნობისათვის: კაკასიაში ბუნებრივად გვხვდება 2 რელიქტური სახეობა: კოლხური ბზა და ჰირკანული ბზა. გარდა ამისა აქ გვხვდება ჩვეულებრივი ანუ მარადმწვანე ბზა, წვრილფიფილი ბზა, იაპონური ბზა, ბალეარული ბზა. ბოლო წლებში ეკლესია-მონასტრებში მიმდინარეობს ბზის ნერგების გამოყვანა, რომლებიც შემდეგ ბზობის დღესასწაულზე სიმბოლურ ფასად იყიდება ეკლესიებთან.

ლანჩუთში სოციალური პროგრამით 541 პირი დასაქმდა

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღმინისტრაციულ ერთეულებში თავის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მერმა მიმდინარე პრობლემების შესახებ მიიღო ინფორმაცია.

ლანჩუთის მერის პირველმა მოადგილემ **ეკატერინე გუჯაბიძემ** პრემიერ-მინისტრის ინიციატივით საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბურ პროგრამასთან დაკავშირებით ისაუბრა. პროექტი სოციალური შემწეობის მიმღები, შრომისუნარიანი პირების დასაქმებას ისახავს მიზნად.

ამ დროისთვის, ლანჩუთის მუნიციპალიტეტში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დასაქმებულია 541 მოქალაქე.

დასაქმების პროგრამაში ჩასართავად, ბენეფიციარებს შეუძლიათ მიმართონ სოციალური მომსახურების ან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვისცენტრებს.

პროგრამის ბენეფიციარები 18 წლის და უფროსი ასაკის შრომისუნარიანი პირები არიან, ვისი ოჯახის სარეზინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას.

დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს 4 წლის განმავლობაში სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად

ბიორგი ურუშაძემ დაბა ურეკში მყოფი უკრაინის მოქალაქეები მოინახულა

მოქალაქეს გადაუხადო განსაკუთრებული მადლობა მეგობარი უკრაინელი ხალხის დახმარებისათვის, — აღნიშნა გურამი სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ურუშაძემ.

„დაბა ურეკში ის უკრაინელი ოჯახები მოინახულეთ, რომელთაც ომის გამო, საკუთარი ქვეყნის დატოვება მოუწიათ. კიდევ ერთხელ, გამოვ-ხატეთ სოლიდარობა და მხარდაჭერა უკრაინის და უკრაინელი ხალხის მიმართ. ამ რთულ ვითარებაში, ჩვენ მეგობრების გვერდით ვდგავართ!“ — აღნიშნა ოზურგეთის მერმა, **ავთანდილ თალაკვაძემ**.

ამ ეტაპზე, ურეკის ორ სასტუმროში 21 ოჯახი ცხოვრობს, რომლებიც საქართველოში თებერვლის ბოლოს ჩამოვიდნენ და მათი უმრავლესობა ქალაქ ხარკოვის მკვიდრია. საქართველო კვლავ განაგრძობს როგორც ომში მყოფი, ასევე, საქართველოში ჩამოსული უკრაინელი ხალხის მხარდაჭერას. უკრაინაში უკვე გაიგზავნა ჰუმანიტარული დახმარების მეორე ეტაპის ფარგლებში შეგროვებული ტვირთი.



უკრაინელი თანატოლებისთვის ჰუმანიტარული ტვირთი შეაბროვეს

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ჩიბათის, გვიმბალაურის და მანჯვარეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, **გიორგი ჩანვაძემ** და იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის აღსაზრდელებმა უკრაინელი თანატოლებისთვის ჰუმანიტარული ტვირთი შეაგროვეს.

სოფელ ჩიბათში მცხოვრებ უკრაინელ ოჯახს შეგროვებული ნობათი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ და გიმნაზიის პრორექტორმა, დეკანოზმა **მირიანმა (ფიცხალაიშვილი)** თანამშრომლებთან ერთად გადასცეს.

„ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა და დახმარება, რომელიც მათ ახლა ყველაზე მეტად სჭირდებათ. ჩვენ ყველამ ერთად შევძელით შეგვეგროვებინა პროდუქტები და გადაგვეცა მათთვის“



- აღნიშნეს სტუმრებმა. უკრაინიდან ლტოლვილი ბავშვები ჩიბათის საჯარო სკოლაში აგრძელებენ სასწავლო პროცესს.

24 აპრილი

12:00 - 16:00 სთ - სპორტული აქტივობები.

15:00 - 16:30 სთ-ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა - გაყიდვა.

17:00სთ ლელობურთი

დაიწყეთ ყოველი ოქმბათი აციონზე
«ალიონი»

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მფლობელებს ხელშეწყობა სუბსიდიის გაიცემა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა 18 აპრილს, მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მფლობელებზე სახელმწიფო სუბსიდიის გაიცემა.

„სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება ერთ ჰექტარზე 300 ლარით. სუბსიდიის მიღებენ 0,25 ჰა-დან 1,25 ჰა-მდე ჩათვლით მიწის მესაკუთრეები. ფერმერებს ეს თანხა ქულების სახით აგრობარათზე დაერიცხებათ და ამით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო საქონელს შეიძენენ“, – განაცხადა ირაკლი ლარიაშვილმა.

მისი თქმით, ამ დახმარებას საქართველოში დაახლოებით 300 ათასამდე ფერმერი მიიღებს. ამ პროექტის ბიუჯეტი 95 მილიონი ლარია.

სოფლის მეურნეობის მინისტრის, **ოთარ შამუგიას** განმარტებით, შესაბამის მაღაზიებში, სადაც იყიდება პესტიციდები, აგროქიმიკატები, სასუქები, სათესლე მასალა, ფერმერი აგრობარათის წარდგენის შემდეგ თავისთვის სასურველ საქონელს შეიძენს.

ტრენინგი „გარემოს დაცვა და განახლებადი ენერჯი“ მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელებს

2022 წლის 13 აპრილს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელებს (9,10,11,12 კლასები), „ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ მიერ გამოცხადებული სოციალური პროგრამის საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში, არაფორმალური სახის სასწავლო ტრენინგ კურსის პირველი შეხვედრა ჩატარდა. კურსი მიზნად ისახავს მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელებში ცნობიერების ამაღლებას გარემოს დაცვით საკითხებში, ასევე, ცოდნის გაზიარებას განახლებადი ენერჯის კონცეფციის შესახებ და მათთვის ინფორმაციის მიწოდებას პროფესიულ ორიენტაციის საკითხების ირგვლივ.

გარემოს დაცვით საფუძვლებსა და განახლებად ენერჯის მოდულს წარუძღვება **დავით ბერეჟიკიძე**, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის ტყის დაცვის სამმართველოს უფროსი; პროფესიული ორიენტაციის შესახებ ისაუბრებს **ქეთევან ლობჟანიძე**, ფსიქოლოგი, „ინსაით“ ჯგუფის დამფუძნებელი და დ მენეჯერი. პროფესიული ორიენტაცია განსაკუთრებით საჭიროა უფროსკლასელებს და მიზნად ისახავს აბიტურიენტების დახმარებას, რათა მათ შეძლონ მომავლის პროფესიის სწორად შერჩევა; კომუნიკაციების შესახებ შეხვედრას ჩაატარებს **ხათუნა იოსავა**, საზოგადოებასთან ურთიერთობის ექსპერტი, კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი 2015 წლიდან. კომუნიკაციის ლექციის ფარგლებში, ახალგაზრდები ბევრს გაიგებენ მედიაზე და მის როლსა და ფუნქციაზე საზოგადოებაში, ასევე, ისწავლიან როგორ განასხვავონ ნამდვილი და „ფეიკ“ ანუ გამოგონილი, გაყალბებული ამბავი



ერთმანეთისგან.

სასწავლო კურსი არაფორმალური განათლების ნაწილია და მოიცავს 6 ტრენინგს, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს ექსკურსიას მოქმედ ჰიდროელექტროსადგურზე, სადაც მოსწავლეები ნახავენ გენერაციის ობიექტს და გაეცნობიან მისი მუშაობის თავისებურებებს.

„როცა ვსაუბრობთ განვითარებულ სოფლებზე, რომელიც წარმატებული ქვეყნის საწინდარი უნდა გახდეს, პირველ რიგში გვულისხმობთ განათლებულ მომავალ თაობას. სწორედ ამიტომ, ჩვენი სოციალური პროგრამა მოიცავს საგანმანათლებლო პროექტებსაც, რომელიც მიმართულია ახალგაზრდა თაობაზე, ასევე ამ სექტორში დასაქმებულ პედაგოგებზე. ვფიქრობ, საინტერესო ტრენინგ კურსი მოუშვადეთ მთისპირელ ახალგაზრდებს და დიდი იმედი მაქვს, ისინი ბევრ სიახლეს შეიტყობენ, როგორც გარემოს დაცვაზე, ასევე განახლებად ენერჯიაზე, ეს კი მისცემს მათ ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა

გაუფრთხილდნენ ბუნებას, რისგან უნდა დაიცვან გარემო და როგორ და რატომ არის საჭირო ელექტროენერჯის მოფრთხილება და რა მნიშვნელობა ენიჭება ეკო მეგობრული გენერაციის ობიექტების მშენებლობას, ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით“ – განაცხადა პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, **დავით მიქელაძემ**.

„ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ ტრენინგ კურსი უფროსკლასელებს სემესტრის ბოლომდე გაგრძელდება. მისი განახლება კი, 2022 წლის სექტემბრიდან არის დაგეგმილი. სექტემბრიდან ლექციები ჩონატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურას საჯარო სკოლაშიც ჩატარდება.

„ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგური“ მდინარე ბავისწყალზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დაგეგმილი პროექტია, რომლის განმახორციელებელი კომპანიაა შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“.

დ

2022 წლის 25-30 აპრილს საქართველოში ტარდება ევროპის იმუნიზაციის კვირეული

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ევროპის რეგიონულმა ბიურომ 25-30 აპრილის პერიოდი ევროპის იმუნიზაციის კვირეულად გამოაცხადა. საქართველო 2007 წლიდან აქტიურად მონაწილეობს იმუნიზაციის კვირეულში და ახორციელებს სხვადასხვა სახის ფართომასშტაბიან საკომუნიკაციო ღონისძიებებს.

წლებგანდელი კვირეულის მთავარი სლოგანია მსოფლიოში „კოვიდ 19“ ეპიდემიის დასამარცხლებლად კოვიდ საწინააღმდეგო მასიური აცრების გაძლიერება, ასევე რუტინულ (გეგმიური) იმუნიზაციაში იმ ჩავარდნების აღმოფხვრა, რაც გამოწვეული იყო პანდემიის პროცესთან დაკავშირებით.

ევროპის იმუნიზაციის კვირეულის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ. კვირეულის განმავლობაში კიდევ ერთხელ მოხდება იმუნიზაციის აქტუალობის შესწავლა და ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობის, მედიის, ჯანდაცვის სისტემების სპეციალისტების, პოლიტიკოსების და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებისათვის.

მსოფლიოში კვლავ უდიდეს გამოწვევად რჩება „კოვიდ 19“ ინფიცირება და მისგან გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული დარღვევები, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინა.

გასსოვდეთ, რომ იმუნიზაცია ჩვენი შვილების ჯანმრთელობის გარანტია და აუცილებელია, ზუსტად დავიცვათ აცრების კალენდარი სრულყოფილად და რაც მთავარია, დროულად ჩაუტაროთ აცრების კურსი! ამ შემთხვევაში ბავშვი დაცული იქნება იმ ინფექციური დაავადებებისგან, რომლის საწინააღმდეგოდ ჩაუტარდა აცრები.

ექიმთან ერთი ვიზიტის დროს რამდენიმე აცრა ერთდროულად კეთდება. ეს ხელს უწყობს აცრების კურსის დროულად დამთავრებას, რაც თავის მხრივ ზრდის ვაქცინაციის ეფექტურობას.

ნაციის ეფექტურობას.

ნებისმიერს შეუძლია შეიტანოს წვლილი ვაქცინაციის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლებაში;

მოდით ერთად ვიმოქმედოთ;

ვაქცინაციის ჩატარებით თითოეული მშობელს უდიდესი წვლილი შეაქვს როგორც საკუთარი შვილების ასევე სხვების ჯანმრთელობის დაცვაში;

მეცნიერებს მილიონობით ადამიანის სიცოცხლე აქვთ გადარჩენილი უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინების შექმნით. მიმდინარე ინოვაციები უფრო მეტი დაავადებებისაგან დაცვის შესაძლებლობას შექმნის მომავალში;

ექიმები ვაქცინაციაზე ყველაზე სანდო წყაროა მათი პაციენტებისათვის. ვაქცინაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებით ხდება სოცოცხლეს გადარჩენა;

ვაქცინაციის შესახებ ფაქტების გაზიარებით ყველას შეუძლია გაზარდოს ვაქცინაციის შესახებ ცნობიერება იმუნიზაციის შესახებ და ამით გადარჩინოს მილიონობით სიცოცხლე;

საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ მომავალი იმ დაავადებების გარეშე რომელთა პრევენცია ვაქცინაციით არის შესაძლებელი;

ვაქცინები მოქმედებს!

იმუნიზაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში ყველაზე ეფექტურ ინტერვენციას წარმოადგენს;

ვაქცინაცია ყოველწლიურად მილიონობით ბავშვს იცავს სიკვდილის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე დარღვევისაგან.

ვაქცინაცია ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური, სანდო და უძველესი საშუალებაა. ვაქცინოლოგია, როგორც მეცნიერება, უკვე ცნობილია 200 წელი და აქამდე ერთგულად ემსახურება კაცობრიობას. ვაქცინაციის წყალობით დამარცხებულია ყველაფერი, თითქმის განადგურებულია პოლიომიელიტი, მკვეთრად შემცირებულია წითელატი, ციფთა და წითურათი ავად-

ბა. ამ ვირუსულ დაავადებებთან ერთად აღნიშნის ღირსია სხვა მიკროორგანიზმებით გამოწვეული დაავადებები – შავი ჭირი, ქოლერა, ტუბერკულოზი, დიფთერია, ტეტანუსი, ყვიანახველა, ტულარემია, ჯილეზი – აი არასრული სია დაავადებებისას, რომელთა ბრძოლაშიც გაიმარჯვეს ვაქცინებმა.

რომელი დაავადებების საწინააღმდეგოდ ტარდება აცრები

ბავშვთა გეგმიური იმუნიზაცია ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონისა და პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად (სშჯსდ მინისტრის ბრძანება 01-51/6 25.06. 2020წ). რუტინული ვაქცინაციის სქემა დამოკიდებულია ქვეყნის ეპიდემიოლოგიურ და პროგრამულ თავისებურებებზე. სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 ინფექციის - ტუბერკულოზის, დიფთერიის, ყვიანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, ყვიანახველას, წითურას, წითელას, ბ ჰეპატიტის , როტავირუსული, პნემოკოკური ინფექციების, ბ ტიპის ჰემოფილუს ინფლუენციის და ადამიანის პათოლოგიური ინფლუენციის საწინააღმდეგო საწინააღმდეგო ვაქცინაციას.

იმუნიზაცია სრულყოფილად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს:

1 წლამდე ასაკში ჩატარებული აქვს 12 აცრა: ბცუ, ჰეპ ბ (მონო), 3 (დფტ+ჰეპ ბ+ჰიბ), 3 ოჯ და 2 როტავირუსული ინფექციის და 2 პნემოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო აცრა;

1 წლიდან 2 წლამდე ასაკში 4 აცრა: წწყ, ჰკვ, დფტ და ოჯ ;

5 წლის ასაკში 3 აცრა: დტ, ოჯ და წწყ;

14 წლის ასაკში 1 აცრა – ტდ.

იმუნიზაცია ჩვენი შვილების ჯანმრთელობის გარანტია და აუცილებელია, ზუსტად დავიცვათ აცრების კალენდარი –სრულყოფილად და რაც მთავარია, დროულად ჩაუტაროთ აცრების კურსი. ამ შემთხვევაში ბავშვი დაცული იქნება იმ ინფექციური დაავადებებისაგან , რომლის წინააღმდეგაც

აცრები ჩაუტარდა.

ექიმთან ერთი ვიზიტის დროს რამდენიმე აცრა ერთდროულად კეთდება, ეს ხელს უწყობს აცრების კურსის დროულად დამთავრებას, რაც თავის მხრივ ზრდის ვაქცინაციის ეფექტურობას.

დაუშვებელია აცრების გადავადება ისეთი ცრუ უწყვეტების გამო, როგორცაა გაციება, ხველა, სურდო, ალერგია, ქრონიკული დაავადებები და ა.შ.

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული და სერთიფიცირებული ვაქცინები. აქედან გამომდინარე, ყველა ვაქცინა, მიუხედავად მწარმოებელი ქვეყნისა და/ან კომპანიისა, გამოირჩევა მაღალი ეფექტურობისა და უსაფრთხოების მაჩვენებლით. თუმცა ვაქცინის ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ვაქცინირებული პირის ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე სრულყოფილი იმუნიტეტის გამოუმუშავების თვალსაზრისით. აღსანიშნავია ისიც, რომ აცრები ტარდება ერთჯერადი ავტობლოკირებადი შპრიცების საშუალებით, იმუნიზაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ყოველთვის უპოთაღნიშნული, მომსახურების მიწოდების სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორთან ერთად, განაპირობებს ვაქცინაციის პროცესის ეფექტურობას და უსაფრთხოებას.

უნდა გვასსოვდეს რომ არაქცინირებული პირი საფრთხეს უქმნის როგორც საკუთარ, ასევე მის გარშემო მყოფი ადამიანების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს!

აიცივარი და დაიცავი მომავალი თაობა!

არჩილ მჟავია.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გუროის განყოფილების უფროსი

„ქართული ქართველთა რწმენა!“



ალიონი. ახალი თაობა დღეს, როგორც არასდროს, ქობადა უნდა დაუდგეს ქართულ ენას, რადგან ვიძიებთ ენა ერის იდენტობის განსამზღვრელი, მისი გადამრჩენელია. მაშინ, როდესაც ინტენსიური გარე ურთიერთობები, ღია საინფორმაციო სივრცე და ტექნიკური პროგრესი გლობალურ საკომუნიკაციო გარემოს ქმნის და მცირე ერების განვითარებას საფრთხეს უქმნის, ქართული ენაც, შესაძლოა, არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდეს. თუ თავად არ შევიგნეთ და გავითავისეთ ქართული ენის გაფრთხილებასა და გადარჩენის საჭიროებას, დავკარგავთ წინაპართაგან ნანადერძვე საუნჯეს, სხვა ენათაგან გამორჩეულს.

„ქართული ქართველთა რწმენა!“-ეს სათაური იდეად გასდევდა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ-მხატვრულ კომპოზიციას. ეკალდიდის შერწყმული სკოლის სააქტო დარბაზში ლიტერატურულ სალონ „ივერიის“ წევრებს საზეიმოდ მოერთოთ. მოსწავლეების ხელით დახატულმა ასონიშნებმა და სახე-სიმბოლოებმა შექმნეს ესთეტიკურად დახვეწილი, ემოციური გარემო.

ღონისძიების მონაწილეებმა ლიკა, ნატა, ლიზა, ლაშა, დიტო, ზალიკო ფუტკარაძეებმა, მარიამ, თაკო, ბექა, თემურ დიასამიძეებმა, მიხეილ ივანაძემ, გიორგი ხილაძემ

(ეკალდიდის შერწყმული სკოლა) და სოფელ შრომის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ანა ფუტკარაძემ, ანანო ჯგაბუამ, ავთო და ლუკა ხომერიკებმა, თათია გულაშვილმა, ავთო ჩხიტუნიძემ და თენგივ კაპანაძემ ჩანახატებითა და ლექსებით გაამდიდრეს, კომპოზიციურად აკინძეს და შეკრეს ქართული ენისა და ანბანის შექმნის ამბები, გაიხსენეს ის სახენათელი წინაპრები, სმალამოლებულნი და შემართულნი რომ ებრძოდნენ ენის ხელმოწყობით, მისი მოსპობის მსურველთ. ტკივილით გაიხსენეს 1978 წლის 14 აპრილი, ერისა და ბერის ძალისხმევა ენის გადასარჩენად.



ქართული ენის დღე“



14 აპრილს, ქართული ენის დღისადმი, დედაენის დღე სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლის მეთორმეტკლასელებმა ერის სასიქადულო მამულიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმში აღნიშნეს

თეორიული კონფერენციით „ხმათა ხვევრდების და ღმერთების ენა.“ ანა თოიძემ, ლანა ცეცხლაძემ, მარიამ მემარნიშვილმა და მელ ცეცხლაძემ წარმოადგინეს სიღრმი-სეულად დამუშავებული რეფერატე-

ბი ქართული ენის ისტორიული წარსულისა და დღევანდელი შესახებ; მათ თავიანთი ხმა შეუერთეს 37 წლის წინანდელი მასობრივი გამოსვლის იმ 100 000 მონაწილეს, რომელთა ძალისხმევამ, პირველად სსრკ-ის ისტორიაში, უკან დაახვედრა კომუნისტურ რეჟიმს.

ღონისძიებას შეუერთდნენ მესამეკლასელებიც, რომლებმაც ლამაზად გაფორმებული პოსტერები მიუძღვნეს ამ დღეს.

მჯერა, ლიხაურის საჯარო სკოლის მოსწავლეები ყოველთვის აღასრულებენ დიდი ილიას ანდერძს და იქნებიან სამი ღვთაებრივი საუნჯეს ღირსეული დამცველები.

ლილია ნიკოლაიშვილი, ლიხაურის საჯარო სკოლის მე-12 კლასის დამრიგებელი.

შერამდინ ჭკუასელი



დიდებული მცოდნე, შესანიშნავი ტემპრის მქონე, სულ მალე იგი გუნდის ლიდერი გახდა. მე კარგად მახსოვს ბატონი შერამდინი. იგი ჩვენი ოჯახის სმირი სტუმარი იყო. მამჩემი —ილარიონ სისარულიძე, შერამდინი და მე კარგად ვუწყობდით ხმებს ერთმანეთს სიმღერებში.

თამამდ შეიძლება ითქვას, რომ ბატონი შერამდინი გამორჩეული ბანი იყო იმ დროინდელ ბანის მთქმელთა შორის. მე კარგად მახსოვს შესანიშნავი ტრიონ: (დომენტი ქარჩავა, შერამდინი ჭკუასელი, ილარიონ სისარულიძე), მიერ შესრულებული გურული სიმღერები, რომლებიც შეუცვლელ ტრიოდ ითვლებოდა მთელ გურიაში.

შერამდინ ჭკუასელი ვარლამ სიმონიშვილის გარდაცვალების შემდეგ ვლადიმერ ერქომაიშვილის გუნდში მღეროდა. პარალელურად შერამდინი სხვადასხვა სოფლებში (მერია, კონჭკათი, წითელმათა, შემოქმედი) საკომუნერეო გუნდის ლოტბარი იყო.

1963 წლიდან შერამდინ ჭკუასელი უხუცესთა ანსამბლ „დილას“ წევრი იყო და ნაყოფიერ შემოხმას ეწეოდა გურული სიმღერების ადგილობრივი სახეების საქმეში.

შერამდინ ჭკუასელის უდიდესი ღვაწლია ის, რომ მან აღზარდა შესანიშნავი მომღერლები —შვილი და შვილიშვილი.

ბატონი ჯემალ ჭკუასელი ჯერ საქართველოს სახელმწიფო ანსამბლის წევრი იყო, ხოლო ძალიან დიდ ხანს იყო ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და ლოტბარი.

მისი შემოხმის პერიოდში ანსამბლ „ერისიონმა“ უდიდეს წარმატებას მიაღწია, მსოფლიოს არაერთი ქვეყნის დიდ სცენაზე ჰქონდა წარმატებული გამოსვლები.

ამჟამად ანსამბლ „ერისიონს“ შერამდინ ჭკუასელის შვილიშვილი ედმუნდ ჭკუასელი წარმატებით ხელმძღვანელობს.

შერამდინ ჭკუასელი 1978 წლის 30 ივნისს გარდაიცვალა. დაკრძალულია სოფელ წითელმთის სასაფლაოზე.

შერამდინ ჭკუასელის პატივსაცემად სოფელ წითელმთაში, იმ ქუჩას სადაც იგი ცხოვრობდა, მიენიჭა შერამდინ ჭკუასელის სახელი.

დიდი მომღერლის და შესანიშნავი ბანის მქონე ბატონი შერამდინ ჭკუასელის ხსოვნა დიდ ხანს იქნება ხელოვანთა შორის.

ტრისტან სისარულიძე, ხელოვნების ქურუმი.

დედაენის დღე ლანჩხუთის სამხატვრო სკოლაში



14 აპრილს საქართველოში ქართული ენის დღისადმი, დედაენის დღე აღინიშნება. ამასთან დაკავშირებით ვ. ბარამიძის სახელობის სამხატვრო სკოლაში დედა ენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა მოეწყო.

ღონისძიებას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მერიის პირველი მოადგილე ეკატერინე გუგუაძე და მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე დაესწრნენ.

1978 წლის 14 აპრილს საქართველოს მოსახლეობამ, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად, მასობრივი გამოსვლა მოაწყო და წინ აღუდგა საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას, საქართველოში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების შესახებ. რუსთაველის გამზირზე თითქმის 100 000 ადამიანი შეკრება და პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, კომუნისტურმა რეჟიმმა უკან დაიხია. 14 აპრილი დედაენის დღედ გამოცხადდა.

„ენიერგო პრტ ჯოტჯიას“ ოზოტგოთის სოტჯისცენტრი გილოცავთ აღდგომის მტწყინვალუ დღესასწაულს! გისოტჯებთ მშვიდობას ჯანმტოლომბასა და სოლოტჯ სიმშვიდეს!

ბექა ხინთიბიძის პირველი პერსონალური გამოფენა ოზურგეთში



ალიონი 14 აპრილს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში ახალგაზრდა მხატვრის **ბექა ხინთიბიძის** პირველი პერსონალური გამოფენა გაიმართა.

რამდენიმე თვიანი შესვენების შემდეგ, რაც „კოვიდ 19“ რეგულაციებით იყო განპირობებული, სახვითი ხელოვნების ცენტრს არაერთი ხელოვნების მოყვარული ესტუმრა. არც შემცდარან, ახალგაზრდა მხატვრის შესანიშნავი გამოფენა იხილეს.

ბექა ხინთიბიძემ 2016 წელს დაამთავრა ოზურგეთის სამხატვრო სკოლა ფერწერის განხრით. სისტემატურად მონაწილეობდა საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენებში.

მისი ორი ნამუშევარი ინახება მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის ფონდში.

ბექა 2019 წელს საქართველოს მხატვართა კავშირის წევრად მიიღეს. გამოფენის გახსნისას, ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძემ** ისაუბრა ბექა ხინთიბიძის შემოქმედებაზე, მის ხელწერაზე.

—ჩვენი სუბონის გახსნა ბექა ხინთიბიძის გამოფენით შედგა. ეს არის ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა. მუდამ საუკეთესო მოსწავლე იყო. დაამთავრა ვახტანგ მამეშვილის სახელობის ოზურგეთის სამხატვრო სკოლა. ის მუდამ აწყობდა გამოფენებს და უპირობოდ, მუდამ იყო

გამარჯვებული. მას პროფესიულ დონეზე არ გაუგებრებია სწავლა, თუმცა განსაკუთრებულად შეძლო ჟანრობრივი განვითარება. მისი ხელწერა მუდამ გამორჩეულია, იგრძნობა იმპრესიონიზმის გავლენა, მუშაობს ყველა ჟანრში. აქ მისი 90 ნამუშევარია წარმოდგენილი. საოცრად მუშა და პროდუქტიული ახალგაზრდაა და ამიტომ უნდა მივულოცოთ განსაკუთრებით და ეუსურვოთ დიდი წარმატებები, — თქვა ლია ურუშაძემ

ბექა ხინთიბიძეს პირველი პერსონალური გამოფენა მოულოცეს გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **თამაზ დარჩიამ**, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორმა **ავთანდილ თავართქილაძემ**, მხატვარმა **ვახტანგ მამეშვილმა**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურსაკითხთა სამსახურის უფროსმა **მარინა ჯაფარიძემ**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მარი ჩიკვიშვილმა**.

უნდა აღინიშნოს, რომ მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით, ბექა ხინთიბიძის პერსონალური გამოფენის კატალოგი გამოიცა, რომელშიც მხატვრის 38 ნამუშევარია შეტანილი.



ვაშნარის გმირები



II შავი ზღვის სანაპიროს უფროსი პოდპორუჩიკი იური ლუკასძე არიშიძე, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა 10 აპრილს, 1918 წ. ვაშნარში (ოზურგეთის მხ.) ოსმალების ბრძოლის დროს.

პატივმოყვება და მართლაც ასე არის. ვაშნარელი მებრძოლების ისტორიაში სიახლეს წარმოადგენს ის, რომ სულ ახლახან ბატონ კახა ჩაველეშვილის მიერ მიკვლეულია სამი უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლის სახელები. ესენია: იური ლუკას ძე არიშიძე (სოფელი ქვიანი), კალისტატე ღლონტი (სოფელი სუფსა), ლადიკო ჩანჩიბაძე (სოფელი ნატანები). ამ სამი მებრძოლიდან მიკვლეულია ერთის ფოტო წარწერით: შავი ზღვის სანაპიროს უფროსი პოდპორუჩიკი იური ლუკას ძე არიშიძე, რომელიც უგზო უკვლოდ დაიკარგა 1918 წლის 10 აპრილს ვაშნარის ბრძოლის დროს.

მგზავრის წინაშე, როცა მებრძოლთა უბრალო საფლავებს თხრიან მოხუცები, ქალები, და ეძებენ შვილებს, ქმრებს და ძმებს.

„ერთმა პატარა სოფელმა 35 მებრძოლი დაკარგა, 35 სიცოცხლით სავე ადამიანი მოშორდა ცხოვრებას... მათი საფლავი ვაშნარში გაითხარა. იქ ერთად განისვენებენ მყუდრო საფლავში. სოფ.ჯინანჯირში (ჩოჩხათის საზოგადოება) დასტირიან დაკარგულს... პატარა სოფელი გლოვობს თავის შვილებს...“

ესენია: ძმები ივანე და მოსე, მაქსიმე გუჯაბიძეები, ძმები კასიანე პლატონ და გაბრიელ გურგენაძეები, ძმები ნესტორ და კალისტატე გურგენაძეები, ძმები სერგო და ვასო გურგენაძეები, ბათლომე ჩითიკარაძე, ბათლომე ილ.ტიკარაძე, მიხაკო გ.კოსტავა, გრიგოლ ალ.სარჯველაძე, აკაკი ნ. გუჯაბიძე, ათანასე ბ. გურგენაძე, ლადიკო ე. ტულუში, ფილიპე ს. ტულუში, გიორგი ათ. გურგენაძე, ვიქტორ ნ.ჩხარტიშვილი, იაგორ ლევ. გურგენაძე, თედორე ივ. ხომერიკი, დათიკო ან. გურგენაძე, მელენტი გ.გურგენაძე, პანტელეიმონ ხალ. გუმბარიძე, ლადიკო ივ. გუმბარიძე, მიხაკო ს.ფიროლიძე, ლავ. გ. მეფარიშვილი, ლა. გ. ტიკარაძე, ასალო სარ. ტიკარაძე, მოსე დიმ. ტიკარაძე, სოლომონ ალ. მშვიდლობაძე, სიმონ ქ.ტიკარაძე, ვასო და ივ.გუჯაბიძე და პილატე ვას. ტულუში. ესენი იქ ასაფლავაით, სადაც დახოცნენ, რადგან მათი გადმოსვენება შეუძლებელი დარჩა.



გურულების ღერბი „ბახმაროს“ გამარჯვებით დასრულდა



საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში მე-3 ლიგაში რეგიონის ორი გუნდი ლანჩხუთის „გურია“ და ჩოხატაურის „ბახმარო“ ასპარეზობს.

გათამაშება აპრილის დასაწყისში დაიწყო.

პირველ ტურში ორთავე გუნდმა ფრე ითამაშა. „გური“ — „გურია“ 1:1. ანალოგიური შედეგი დაფიქსირდა „ბახმაროსა“ და „კოლხეთის“ შეხვედრაში.

მეორე ტურში „გურია“ — „სახურთალო“ 2:1 დაამარცხა, ხოლო „ბახმარო“ ტყიბულში „მემანტესთან“ 0:1 დამარცხდა.

მესამე ტურში „ბახმარო“ — „გურიას“ უმასპინძლა.

ჩოხატაურში ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე მყურებლების სიმრავლე იყო. დამაბულმატჩში „ბახმარომ“ შეძლო ლანჩხუთელების დამარცხება 1:0 და ახლა იგი „გურიასთან“ ერთად 4 ქულით მე-9 მე-10 ადგილზე იმყოფება.

მე-4 ტურის მატჩში (29 აპრილი) „გურია“ ხობის „კოლხეთს“ უმასპინძლებს, ხოლო „ბახმარო“ თბილისში „მერანი 2“ შეხვდება.



ესენი ერთად გასწირა საბედისწერო ფაშმა... ძმები ერთად ხელჩაკიდებულნი ... ახლობლები ერთად დაიხოცნენ... (ვახუთი „ერთობა“ 1918 წლის 22 ივნისი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაშნარში დაღუპული მებრძოლების საფლავების (მარტო ერთ ადგილზე

არ მდებარეობს) პატივის მიცემა ტრადიციად იქცა.


11 აპრილს ბატონ კონსტანტინე შავიშვილთან ერთად, სამხო საფლავები გვირგვინებით შეამკეს ნატანებელმა ახალგაზრდებმა. დიდი მადლობის ღირსნი არიან ეს ახალგაზრდები გიორგი ბოლქვაძის ხელმძღვანელობით, ახალგაზრდებმა შეაგროვეს თანხა და დაღუპული გმირების ერთ-ერთ სასაფლაოზე (ადგილი „სათხილე“) დადგეს ძვირფასი ქვის ობელისკი-სვეტი, ქართველი ახალგაზრდების გვარსახელებით. მამა მათემ (ბოლქვაძე) აკურთხა საფლავები და პანაშვიდი გადაუხადა.

დიდება და პატივი სამშობლოსათვის დაღუპულ მებრძოლებს.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი.

ეროვნული მოძრაობა რევოლუციის პერიოდში

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესახებ



ახლა ჩვენი ქალაქების ვერია, რომლების განზე დარჩენა და იმ საკითხის გადაჭრაში მონაწილეობის არმდებარეობა, რომელიც ასე ძლიერ იყვრობს მთელს ჩვენს საზოგადოებრივ აზრს, არ შეიძლება. აუცილებელია, რომ ქალაქის მოსახლეობამ, სოფლის მოსახლეობის მსგავსად, კეთილგონიერულ ვადაში შეიმუშაოს საკუთარი პოლიტიკური პროგრამა, რათა საკუთარ ქმედებებში ცნობილი გეგმაზომიერება და ერთიანობა შეინარჩუნოს. მაგრამ მოცემული საკითხისადმი საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრამდე საჭიროა გავერკვეთ, თუ რა მოკლედ, იმ მთავარ საფუძვლებსა და მოტივებს, რომლებითაც ხელმძღვანელებდნენ ჩვენი გლეხთა და თავდაზნაურთა ფენები, რუსული და უცხოტომელთა ბეჭდვითი სიტყვა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები (ჟურნალისტთა ყრილობა და სხვ.), წამოაყენებდნენ რა პირველ რიგში ფართო ადგილობრივი ავტონომიის საკითხს, როგორც რუსეთში ეროვნული საკითხის მოსაგვარებლად საუკეთესო საშუალებას.

ავტონომიაში ფართო ვაგებით, ამ ცნების საზოგადოდ მიღებული განმარტების თანახმად, იგულისხმება სახელმწიფოს თვითმმართველი ნაწილები, რომლებიც სპეციალური კანონის საფუძველზე მოქმედებენ, სავსებით დამოუკიდებელი არიან სამხარაო, ადგილობრივი მმართველობის საქმეებთან მიმართებაში. მმართველობის კონსტიტუციური წყობის მქონე სახელმწიფოს ავტონომიურ პროვინციებში საკანონმდებლო პალატის როლს ადგილობრივი წარმომადგენლობითი კრება ასრულებს, რომელიც ჩამოყალიბებულია მოცემული ქვეყნის კონსტიტუციის მიერ განსაზღვრულ პრინციპებზე დაყრდნობით. საკანონმდებლო ორგანოების უწყვეტის წრე ავტონომიურად მართავს ერთეულებში, მათი ორგანიზაცია და ცენტრალური ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება ყველაფერ ერთნაირი არ არის. რაც შეეხება კომპეტენციის საკითხს, იგი თავის ძირითად ნაწილებში, ექვემდებარება მეტ-ნაკლებად განსაზღვრულ გამიჯვნას ცენტრალურ სამთავრობო დაწესებულებასა და ავტონომიურ მმართველობას შორის. პირველის უწყვეტს განეკუთვნება: ძირითადი კონსტიტუციური კანონების გამოცემა, რომელიც ერთნაირად სავალდებულოა მოცემულ სახელმწიფოში შემ-

ავალი ყველა ნაწილისათვის; სამხედრო მმართველობა (სახმელეთო და საზღვაო ჯარები, ომის გამოცხადებისა და ზავის დადების უფლება); საერთო ფინანსები; საბაჟო და საგარეო საქმეები (სავაჭრო და ზოგადად, საერთაშორისო შეთანხმებები, დიპლომატიური ურთიერთობები); პიროვნული და პოლიტიკური უფლებების დაცვა (ადამიანის უფლებების დეკლარაცია); მონეტის მოჭრა; საერთო სახელმწიფო ვალები და სხვ. მეორეს – ავტონომიურ მმართველობას – მიეკუთვნება აქვს: ადგილობრივი კანონების გამოცემა; გადასახადების აკრეფა; დამოუკიდებელი ადმინისტრაციისა და სასამართლოს უფლება; თვითდაბეჭდვის უფლება; ადგილობრივი მეურნეობა; სასკოლო საქმე (ყველა ტიპისა და თანრიგის სკოლები); საექლესიო-რელიგიური საქმეები და ა.შ. იმის მიხედვით თუ ვინ არის მიწვეული საკანონმდებლო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, ავტონომიები ორნაირი სახისაა: არისტოკრატიული და დემოკრატიული. თუკი საკანონმდებლო კრება შედგენილია წოდებრივი საწყისით, ე. ი. შედგება მხოლოდ მოსახლეობის პრივილეგირებული ჯგუფებისაგან, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს ავტონომიური მმართველობის არისტოკრატიულ ფორმასთან. პირიქით, იქ, სადაც ადგილობრივი პარლამენტში დეპუტატების არჩევასას არსებობს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფართი ხმის მიცემა, ე. ი., სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იქ, სადაც მოცემული საზოგადოების ყველა წევრი ფლობს საარჩევნო უფლებას (აქტიურსა და პასიურს), ამასთან ერთად, ყველანი ფლობენ ხმათა თანაბარ რაოდენობას, ჩვენ გვაქვს წარმომადგენლობა, ორგანიზებული დემოკრატიულ საწყისებზე, ასეთი წარმომადგენლობა არის კიდევ მთელი ერის ინტერესების ნამდვილი გამომხატველი.

აყალიბებს რა პოლიტიკურად დამოუკიდებელ ერთეულს, ავტონომია არის უმაღლესი სახელმწიფო ძალაუფლების დაქვემდებარებაში. მისი დამოუკიდებლობა უპირობო არ არის; ის შეიძლება იყოს დიდი და მცირე, რაც დამოკიდებულია, ძირითადად, მოცემულ ქვეყანაში თვითმმართველობის აღმოცენებისა და განვითარების ისტორიულ პირობებზე, მეზობელ ერებთან ურთიერთობებზე, კულტურის დონეზე და ა.შ. თვითმმართველობის პრინციპი ყველაზე მეტად

განვითარებულია ინგლისსა და ამერიკაში, სადაც თვითმმართველობის ორგანოები, ადგილობრივი ინტერესების სფეროში, სავსებით დამოუკიდებლად მოქმედებენ. მთავრობის მხრიდან კონტროლი მხოლოდ მათ ზოგად მეთვალყურეობაში გამოიხატება. რას ემყარება ჩვენი ხალხის რწმენა დღეს რუსეთში გამეფებული პოლიტიკური ცენტრალიზმის წინააღმდეგ ქვეყნის ავტონომიური მართვის ფორმის უპირატესობისა და მიზანშეწონილობისადმი? ჩვენთან ავტონომიური მოწყობის შემოტანის სასარგებლოდ პირველი და ყველაზე სერიოზული მოსაზრება, არის ის, რომ მას უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერ სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს, შეუძლია ჩვენს განაპირა მხარესთან რუსეთის სახელმწიფოებრივი ერთობის უზრუნველყოფა. ისტორიულად, მეკვიდრებით გადმოცემული საქართველოს მუდმივი ლტოლვა რუსეთისადმი სავსებით ბუნებრივ ანხნას პოპულობს ქართველთა, – მცირე ტერიტორიაზე მცხოვრები მცირერიცხოვანი ერის, – სურვილში, მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, რომ მიიღოს შესაძლებლობა ისარგებლოს დიდი, ძლევამოსილი სახელმწიფოს მფარველობითა და უპირატესობებით და ამავე დროს შეინარჩუნოს საკუთარი ეროვნება და კულტურა.13 ამასობაში მმართველობის იმ სისტემამ, რომელიც რუსული მმართველობის დასაწყისშივე იქნა შემოღებული და რომელიც დღემდე უცვლელია, მიზნად დაისახა, სხვადასხვა ძალადობრივი ხერხების გზით, ჩვენი ხალხის დენაციონალიზაცია, რაც, რა თქმა უნდა, ანადგურებდა მეგობრულ ურთიერთობებს ორ ერთმორწმუნე ხალხს შორის და მთავრდა ჩვენ მოსახლეობაში სიძულვილის გრძობაც კი ჩაენერგა მმართველი სტრუქტურებისა და ყოველივე იმის მიმართ, რაც მათგან მოდის.14 ამჟამად მთავრობა და ჩვენი ხალხი, როგორც, პრინციპში ამას ვხედავთ ყველაფერ რუსეთში, – ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსია, რომელიც ერთმანეთთან იბრძვის. მათ შორის არ არის სოლიდარობა, იქაც კი, სადაც ეს სოლიდარობა, სხვა პირობებში, ორმხრივად სასარგებლო იქნებოდა. ყველაფერმა, რაც რუსეთის განაპირა მხარეებში არსებული წესრიგის მომხრეებმა მოიმოქმედეს, უარყოფითი შედეგები გამოიღო იმპერიის სხვადასხვა ნაწილებს შორის მძლავრი სახელმწიფოებრივი კავშირის დამყარების თვალსაზრისით.15 მართალია, სეპარატისტული ტენდენციები ჩვენთან ხალხის მასებში არ შეიმჩნევა, მაგრამ ისინი გამოჩენას არ დაახანებენ, თუკი ძირითადად არ შეიცვლება მმართველობის ის სისტემა, რომელიც უუსუსტად რომ შობს ამ სეპარატისმს.16 მართლაც, რას შეუძლია დაახლოვოს ხალხი ხელისუფლებასთან ან დააშოროს მას? ერისათვის საკუთარი ეროვნული და კულტურული საწყისების განვითარების უფლების მიცემა, რომელი უფლებაც შეიძლება განხორციელებულ იქნას შიდა, ადგილობრივი მმართველობის საქმეებში სრული დამოუკიდებლობის პირობებში, არის საუკეთესო და ნაღდი საშუალება იმისათვის, რომ უფრო მჭიდროდ გავამართო კანონები, რომლებიც სხვადასხვა ერებს აერთიანებს, რათა ხალხმა შეწყვიტოს ოცნება ცალკე პოლიტიკურ არსებობაზე.17 თუკი ქართველ ხალხს მიეცემა ეროვნული და კულტურული ცხოვრების თავისუფალი და დამოუკიდებელი მართვის ყველა გარანტია, თუკი მისი ყველა ძირითადი, ელემენტარული უფლება, რომელიც ყველა ერს ახასიათებს, დაცული იქნება კანონის მიერ დამკვიდრებული ნორმების მხრიდან ყოველნაირი ხელყოფისაგან, მაშინ

ისმის კითხვა: რისთვის, რა მიზნით მიინდობენ ქართველები ერთი ხელისუფლების მქონე შეცვლას ან საკუთარი სახელმწიფოს შექმნას?18


ეთნოგრაფიული შემადგენლობით განსხვავებული რეგიონების გაერთიანების მიზნით ჩვენი მთავრობა განსაკუთრებით დაჟინებით და თანამედვერულად ამკვიდრებდა გარუსების ძალადობრივ, ხელოვნურ სისტემას, რამაც, რა თქმა უნდა, სრულიად უარყოფითი შედეგები გამოიღო, კიდევ უფრო გაზარდა უფსკრული ცენტრსა და განაპირა მხარეებს შორის. ამის რეალურ მაგალითებად გამოდგება პოლონეთი, ფინეთი და ჩვენი მხარე, სადაც ამ სისტემამ მმართველ კლასებსა და უცხოტომელ მოსახლეობას შორის ზიზნი წარმოშვა.19 მიჰყვებოდა რა რომაელთა პოლიტიკას, ჩვენი ბიუროკრატია, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ხალხების ასიმილაციის მისწრაფებიდან გამომდინარე, გამარჯვების მოსაპოვებლად დაყოფის პრინციპს იცავდა. ასე, მაგალითად, კავკასიაში დიდი მცირემწიანობისა და სხვა არახელსაყრელი პირობების მოუხდავად, ჩვენი მთავრობა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, დაბალი კულტურის მქონე რუსების ჩამოსახლების გზით მხარის კოლონიზაციით დაკავდა. რუსებმა, თუკი სადმე დასახლდნენ, დაძლიეს ადგილობრივი, მათთვის მძიმე, უჩვეულო პირობები, მაგრამ როგორც დაბალი კულტურის მატარებლებმა, ვერაფერს გარუსებამ ვერ შეძლეს და, აქედან გამომდინარე, წმინდა პოლიტიკური მიზნებით მიღებული ეს ჩანაფიქრი, სრულიად უსარგებლო აღმოჩნდა. ჩვენი განაპირა მხარის რუსული სახელმწიფოებრივი ცხოვრებისადმი შეერთებისათვის თანამედროვე ბიუროკრატია საკუთარი პოლიტიკაში გაათავისუფლებული პრინციპის „დივიდე ეტ იმპერა“ დაცვა სხვა სახითაც დაიწყო: ყველას კარგად მოეხსენება მეგრელების წმინდა ქართული ტომის ხალხის, საქართველოდან გამოყოფის წარუმატებელი მცდელობები; არამართლმადიდებელი რელიგიის აღმსარებელი (მუსლიმური, კათოლიკური, გრიგორიანული) აბორიგენი მოსახლეობის დიდი ნაწილის ქართველებისათვის თვითალღური არმიკურენება, მოუხდავად მისი სუფთა ქართული წარმომავლობისა;20 ადგილობრივი ხალხის სამსახურში, კაცმა რომ თქვას, ძირძველ რუს მოსახლეობასთან მიმართებაში სახელმწიფო სამსახურის უფლებამართებული ხალხის, მშობლიური ტერიტორიის საზღვრებს მიღმა, გაშვება, ერთი ეროვნების წარმომადგენელი ინტელიგენტური ძალების ერთ ადგილას თავმოყრის თავიდან ასაცილებლად;21 ოფიციალური ბეჭდვითი სიტყვის მემკვიდრეობით ერთაშორისი ვნებათაღვლის გაღვივებისათვის ხელის შეწყობა, ველიჩკოსა და მისი კამპანიის მიერ ქართველთა და სომეხთა შორის შუღლის გაღვივება.22 და იმპერიის საერთო წყობასთან უფრო ჩქარი შერწყმის მიზნით ასე გვაშორებდნენ ერთმანეთს. მაგრამ ეს სისტემა, როგორც ზემოთ ითქვა, უსუსური აღმოჩნდა და უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ იგი ძალადობრივი იყო, იმის გამო, რომ ეწინააღმდეგებოდა ერის თავისუფლად განვითარების იდეას და, როგორც ასეთმა, მან ვერ შეძლო პოპულარული გამხდარიყო.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მოსაზრება ჩვენში ავტონომიური მმართველობის შემოღების სასარგებლოდ, არის ჩვენი ხალხის თავისებურებები, რომელიც ითხოვს მართვლობის ფორმის გამოცალკევებას. წესები, ჩვეულებები, რელიგიური და სამართლებრივი მოსაზრებები, რომელიც მოცემული ხალხის ოჯახურ და საზო-

გადობრივ ყოფას ახასიათებს, არის გარემოება, რომელიც ჩვენი სახელმწიფოებრივი მოწყობის მოსალოდნელი ცვლილებისას არ შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული. ამ თავისებურებისათვის ანგარიშის გაწევა იმდენად უპირობოა, რომ ჩვენმა ბიუროკრატიაშიც კი, ეროვნული განსხვავებულობების განადგურების ყველა მცდელობის მოუხდავად, ვერ მოახერხა ამ აუცილებლობისათვის თავის არიდება. მაგალითად, 1859 წლამდე ჩვენთან მოქმედებდა მეფე ვახტანგ VI-ის სამოქალაქო სამართალი; დაღესტნისა და ბათუმის ოლქებში დღემდე ფუნქციონირებს განსაკუთრებული სახალხო სასამართლოები; კავკასიაში წყლით სარგებლობა, ისევე როგორც წყლის მმართველობა, რეგლამენტირდება განსაკუთრებული კანონებით; საერთო-რუსული სისხლის სამართლის კოდექსი ჩვენთან გამოიყენება ზოგიერთი სავსებით არსებითი შეზღუდვებით (არ არის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი), რომლებიც, პრინციპში, არ არის გამართლებული რაიმე ადგილობრივი პირობებით; გლეხების ერთი თანრიგისათვის, ე. წ. ხიზნებისათვის, გამოცემულია განსაკუთრებული დებულება და სხვ.23

არის კი საჭირო იმის მტკიცება, რომ ამ თავისებურებების, წმინდა ადგილობრივი ინტერესების შეცნობა შეუძლია ადამიანს, რომელიც შესისხლხორცებულია ამ ინტერესებთან, ადამიანს, რომელიც ცხოვრობს იმ ხალხის პირობებსა და მდგომარეობაში, რომელსაც თავად წარმოადგენს და რომელსაც თავად ეკუთვნის? შეუძლია კი პეტერბურგის ცენტრალურ საკანონმდებლო დაწესებულებას მართოს ყველაზე დიდი ევროპული სახელმწიფო ისე, რომ ამ სახელმწიფოს ყველა ნაწილს თანაბრად მოემსახუროს? ცენტრალური პარლამენტი, რომელიც პირველ პერიოდში შედგება, უნდა ვივარაუდოთ, გაბატონებული, ერის ბურჟუაზიული კლასების წარმომადგენლების უპირატესობით, წარმოადგება უპირობოდ ცალმხრივად, როგორც უპირატესად შეძლებული კლასების ინტერესების დამცველი. ცენტრალური პარლამენტი ცენტრალისტური და წვრილეროვნული ტენდენციების გამოვლინების თვალსაზრისით წარმოდგება როგორც განაპირა მხარის ინტერესებისათვის აშკარად ზიანის მიმყენებელი. შესაძლოა, რომ სასამართლოც, სკოლაც და ადმინისტრაციაც ისეთსავე არანორმალურ პირობებში დარჩეს, როგორც იმყოფებიან ამჟამინდელი რეჟიმის პირობებში, თუკი მათი ბედი ცენტრალურ წარმომადგენლობით კრებაზე იქნება დამოკიდებული. დასავლეთ-ევროპული ქვეყნების გამოცდილებას საუკეთესო დასტურია იმისა, რომ ყველაფერ, სადაც კი მმართველობა ცენტრალიზებულია, სადაც ადგილობრივი საქმეები საერთო სახელმწიფოებრივ საკანონმდებლო ორგანოს ექვემდებარება, საქმეები არასაკმარისი ობიექტურობით წყდება, ზოგჯერ ცალკეული მცირერიცხოვანი ერების სრულიად ელემენტარული უფლებების დარღვევით, რომლებიც წარმოდგენილი არიან დეპუტატების ყველაზე უმნიშვნელო რაოდენობით. მაგალითისათვის საკმარისია იმზე მითითება, თუ როგორ ეროვნულ შევიწროვებას ითმენენ ირლანდიელები დიდ ბრიტანეთში, ამ ყველაზე მეტად თავისუფალ ევროპულ სახელმწიფოში, პოლონელები – პოზნანში და ზორავტები – უნგრეთში.

(გაგრძელდება იქნება)
ვახტანგ გურული
(საქართველოს ახალი ისტორიკოსი (1801-1918) წიგნი 3 გვ: 407-410)



ბილოცავთ ალდომის ბრწყინვალე დღესასწაულს. გვყვალოდეს უფალი. ალდომის გაღლი და კალა გვარავდეთ, რწმენის სიძლიერება და სიმატიკიცვს ბისუკვბთ.

ბასილ ჩიბოვიძე,
ოწურბმთის სახელმწიფო თეატრის სამსატბრო ხელმძღვანელი



ბილოცავთ უდიდეს დღესასწაულს - ძრისტეს ბრწყინვალე ალდომას. სიტოცხლის სიკვილიწე ბაბარჯვმბისა და სულიერი ავალღმბის დღეს. ძრისტე ალღბა! ჭმემატიტალ ალღბა!

ბელა აროვიძე,
ოწურბმთის მუნციკალიტბის სპარბულოს თავმჯღმობარის მოაღბიღე



ამირვასო ოწურბმთემღმო, ბილოცავთ ალდომის ბრწყინვალე დღესასწაულის დაღბომას სინარული, სიწმინდე და კეთილღღმობა არ მობაკლოთ უფალმა! ალდომას ვულტვებ სრულიად სპართ-მღმოს, მთმღ ბარტლმადიღმმელ სამსაროს! მომღმბარი კალაღობის დაბარცხმბას და სიკმთის ბაბარჯვმბას ბისუკვბთ, ამ დღის გაღლით! ძრისტე ალღბა!

მარინა ჯაფარიძე,
ოწურბმთის მმრის ბანათღმბის, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ სამმთა, სწინაღურ და ჯანღვმის სპიისთეა სამსხურის უწრონი



ბილოცავთ ყმელ ბარტლმადიღმბელ ძრისტიანს ალდომის ბრწყინვალე დღესასწაულს, სიტოცხლის სიკვილიწე ბაბარჯვმბისა და სულიერი ავალღმბის დღეს! უფალს მთსოვთ დაიფაროს ჩმენი მომბე უპრინემღბი. მომელი დღესინარულინა და იმღღის მომბანი მოწიღიწოს თმმმთბის!

მაკა ჭყონია,
ა(ა)იბ ოწურბმთის მუნციკალიტბის სპოლამღმლი ალზრღის ცენტრის დირმბტორი

ძრისტე ალღბა! ბილოცავთ!
უკს „სანსაქის კური“

განანღმბული პრობრამით კატარემბისთბის, მოწარღმბისთბის დიდღმბისთბის ბთავაწობთ დაბადღმბის დღის ორბანიწმბას, ნათღობის აღნიწმბას, ხელინ თსოვნის ცემემონიღალს და სხმბა ღონისქიღმბას.

დაბვიკავშირღით: 557 73 90 06;

ოწურბმთი, გურიის ქ. №5
სადღესასწაულო ცენტრი „პინოქიო“

აწთიამი „სალბი“ ალდომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ყღულღღიღრად კრმთღტრული აწტღმრუსით თწრტგოთი-თბილისი. გასღლა 9 სწათსა და 30 წრთწრ.

უკს „ტრანსსერვისი“ ბილოცავთ ალდომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

უკს „იმელი“ ბილოცავთ ალდომას უფლისა ჩმენისა იესო ძრისტესნი!

ოწურბმთის ბავმთა სპემურნალო ცენტრი ბილოცავთ ალდომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

7 დღის ამიღღის პრობნოწი

მწმ, ღრსუბელი +9+722 24 აპრილი ხუთმბათი	მწმ, ღრსუბელი +11+21 25 აპრილი პარასკევი	მწმ, ღრსუბელი +13+28 26 აპრილი შბათი	მწმ, ღრსუბელი +13+24 27 აპრილი კვირა	მწმ, ღრსუბელი +13+26 21 აპრილი ორშბათი	მწმ, ღრსუბელი +13+26 22 აპრილი სამშბათი	ღრსუბელი +16 +1 25 23 აპრილი ოთხმბათი
---	--	--	--	--	---	--